

Nugesha Gagnidze

ნუგეშა გაგნიძე

Akaki Tsereteli State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Kutaisi

საქართველო, ქუთაისი

The Problem of Language and Identity in the Works of Givi Margvelashvili and Herta Müller
ენისა და იდენტობის პრობლემა გივი მარგველაშვილისა და ჰერტა მიულერის
შემოქმედებაში

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10898>

Givi Margvelashvili, a writer of Georgian origin born in Germany, and Herta Müller, a member of the German ethnic minority born in Romania, present compelling narratives on language and identity shaped by their distinct cultural environments. In both authors' works, the socio-political conditions formed by the post-Second World War interdependence of Eastern and Western Europe play a crucial role. During this period, intensified intersections of languages and communities produced a new cultural-identitarian order, reflected in their aesthetic vision. For both writers, emigration and the complexities of language remain central themes defining their artistic perspectives and the thematic foundations of their work.

Keywords: emigration, identity, language, religion, culture

საკვანძო სიტყვები: ემიგრაცია, იდენტობა, ენა, რელიგია, კულტურა

იდენტობისა და ენის პრობლემა თანამედროვე კვლევით დისკურსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ის აქტუალურია ლიტერატურაში, სოციოლოგიასა და ფილოსოფიაში, აგრეთვე ხელოვნების სხვადასხვა დარგსა და კულტურის კვლევებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მას ყოველდღიური ცხოვრების კონტექსტშიც, სადაც ენა და იდენტობა გავლენას ახდენს ადამიანთა თვითაღქმასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

ჩემ მიერ საკვლევად აღებული ორი გერმანულენოვანი ავტორი, გივი მარგველაშვილი (1927-2020) და ჰერტა მიულერი (1953*) სხვადასხვა (თუმცა არცთუ ძალზე დაშორებულ) ეპოქაში, განსხვავებულ სოციოკულტურულ გარემოში ცხოვრობდნენ. მიუხედავად ამისა, მათ შემოქმედებაში იკვეთება ბევრი პარალელი. ეს მსგავსებები მეტწილად ენისა და იდენტობის პრობლემატიკას უკავშირდება, რაც ორივე ავტორის ტექსტებში ცენტრალურ თემად წარმოჩინდება. ავტობიოგრაფიული ელემენტები, ემიგრაციის გამოცდილება, ტოტალიტარული რეჟიმების გავლენა და რიგი სხვა კულტურულ-სოციალური ფაქტორები განსაზღვრავს ენისა და იდენტობის სუბიექტური კონცეფციის ჩამოყალიბებას მათ შემოქმედებაში. ეს კონცეფცია განსაკუთრებულ და არატრადიციულ ფორმებს იძენს ორივე ავტორის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებსა და მხატვრულ ტექსტებში.

მარგველაშვილი – გერმანიაში დაბადებული ქართული წარმომავლობის ავტორი და მიულერი – რუმინეთში დაბადებული გერმანული ეთნოსის წარმომადგენელი – განსხვავებული კულტურული სივრცეების გავლენით, ენისა და იდენტობის შესახებ საკუთარ ორიგინალურ და ანგარიშგასაწევ ნარატივებს გვთავაზობენ. ორივე ავტორის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი როლი უკავია იმ ისტორიულ და სოციალ-პოლიტიკურ კონტექსტს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ურთიერთდამოკიდებულებით ჩამოყალიბდა.

სწორედ ამ ეპოქაში ენების და თემების ინტენსიურმა გადაკვეთამ ახალი კულტურულ-იდენტობრივი წესრიგის შექმნა, რაც ნათლად აისახა ამ ავტორთა მხატვრულ ნააზრევში.

იდენტობის საკითხთან მჭიდრო კავშირი აქვს მშობლიური ენის საყოველთაო სახლიდან გაძევების თემას. გივი მარგველაშვილის მამისთვის, ისტორიკოს ტიტე მარგველაშვილისთვის, მშობლიური ენა და იდენტობის მთავარი კომპონენტი ქართული იყო, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში ცხოვრობდა და შესანიშნავად ფლობდა გერმანულს. გივი მარგველაშვილისთვის, რომელსაც გერმანელი მიძეები ზრდიდნენ იმიტომ, რომ დედა ოთხი წლის ასაკში გარდაეცვალა და ფიხტეს გიმნაზიაში სწავლობდა, გერმანული იქცა მშობლიურ ენად. მამა იძულებით ემიგრირებულია საქართველოდან, შვილი გერმანიიდანაა დეპორტირებული მშობლებისეულ სამშობლოში. ორივე შემთხვევა გამოწვეულია დიდი პოლიტიკური კრიზისებითა და მსოფლიო ომებით.

ისტორიულ სამშობლოში იძულებითი რეპატრიაცია 1946 წელს შოკისმომგვრელია ახალგაზრდა კაცისთვის, რომელიც უნივერსიტეტის ნაცვლად ჯერ ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკშია, მერე ქვეყანაში, რომლის შესახებაც მას ბერლინში მხოლოდ მამისა და მისი სტუმრებისგან ესმის, არ იცის ქართული, ნათესავები უცნობნი არიან, მეგობრები არ ჰყავს. მის მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა და „ხალხის მტრის შვილის“ ტვირთი. მარგველაშვილისთვის მიუღებელი და გაუგებარია ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა, რომელშიც ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა საქართველოში იგი თანდათან პოულობს თანამოაზრეებს, რომლებიც სოციალისტურ რეჟიმს კრიტიკულად განიხილავდნენ. ამის შესახებ მწერალი არაერთ ინტერვიუში და ავტობიოგრაფიულ წერილში ამახვილებს ყურადღებას. ამავდროულად ის არ წყვეტს გერმანულ ენასთან კავშირს – საგულდაგულოდ ინარჩუნებს და აღვივებს მისთვის მნიშვნელოვან ლინგვისტურ და კულტურულ იდენტობას, რაც ნათლად ვლინდება როგორც მის სამეცნიერო ნაშრომებში, ისე მხატვრულ ტექსტებში, რომლებიც მან შექმნა გერმანულ ენაზე. ამგვარად, ის თავის „ყოფიერების სახლშია“. ამ საკითხზე თავად მწერალი ნათლად გამოხატავს საკუთარ აზრს კარსტენ განზელთან ინტერვიუში:

მშობლიური ენის ონტოტექსტი თითქოს ჩვენი შინაგანი და გარესამყაროს სარკეა. ის აყალიბებს ამ სამყაროებს თავისი მნიშვნელობებით, გადააქცევს მათ შესაბამის „ონტოტექსტუალურ“ განზომილებებად (ენის სპეციფიკურ სამყაროებად), რომლებზეც დამოკიდებულია ადამიანის ონტოტექსტუალური მდგომარეობა. იგი ჩართულია ამ და სხვა ენის სამყაროს „ონტოკონტექსტში“¹ (Gansel, 1994, გვ. 57-58).

კარსტენ განზელთან საუბრის დროს გივი მარგველაშვილმა ისიც აღნიშნა, თუ რა სირთულეებს წააწყდა ენების ცოდნასთან დაკავშირებით საქართველოში დაბრუნებისთანავე, როცა 19 წლის ასაკში აღმოჩნდა სრულიად ახალ კულტურულ-ლინგვისტურ გარემოში, სადაც დომინანტურ ენებს ქართული და რუსული წარმოადგენდა. მისი აზრით, თუ გინდა, ამ კონტექსტუალობაში იცხოვრო, ეს ენები უნდა ისწავლო. ონტოტექსტუალობის სამოსს, ანუ ენებს, არსებით მნიშვნელობა აქვს, როგორც ყოფიერების განმსაზღვრელს და, ასევე, დიდმნიშვნელოვანია, როგორ ლაპარაკობ მას. ძალიან რთულია კარგად იმეტყველო იმ ენაზე, რომლის ბუნებრივ ცნობიერებაშიც არ გაზრდილხარ და გარედან შეიჭერი მასში, იმიტომ „მე ქართული და რუსული ენების ამ ონტოტექსტოლოგიურ განზომილებაში დღემდე უცხოდ ვგრძნობ თავს“ (Gansel, 1994, გვ. 58-59).

იდენტობის საკითხზე წერს მწერალი *პერეკატასტროფიკაში*, კერძოდ, 1992 წლის 9-15 სექტემბრის ჩანაწერში. განსაკუთრებით საყურადღებო ამ ტექსტში ისაა, რომ ავტორი ჩვეული ოსტატობით წარმოაჩენს იდენტობის სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ძირებს. ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზეც ბევრი რამ აქვს სათქმელი, არ მიაჩნია მართებულად იდენტობასა და „საკუთარ ეროვნებაზე პოზიტიური საუბარი“. მისი აზრით, არამართებულია, საჯაროდ და გადაჭარბებულად პიროვნების ქება მისი წარმომავლობასა და ზნეობის გამო.

¹ ნაშრომში ციტირებული გერმანულენოვანი ტექსტების თარგმანი ჩემია [ნ.გ.].

„ნაციონალ-პოლიტიკურად ჰიპოსტაზირებულმა ტრაზახმა წარმოუდგენლად უარყოფითი როლი ითამაშა ისტორიაში“, ამიტომ იგი კატეგორიულად მიუღებელია (მარგველაშვილი, 2022, გვ. 173).

იდენტობის გააზრება მარგველაშვილთან ისეთი არაა, როგორც მისი თანამედროვე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მას არც სამშობლოს არჩევის და არც სამშობლოში დარჩენის უფლება მისცეს დიდმა დიქტატორებმა და მათმა კაცთმომღულე პოლიტიკამ. ამიტომ სამშობლოს სძინავს პოეტში, როგორც თავის ერთ შესანიშნავ ლექსში ამბობს:

დე, შენი საიდუმლო
იყოს შენი სამშობლო,
იყოს იგი ოცნება
და თქმულება გედზე
და უფლისწულზე,
მახვილზე და
ყვავილზე.
იყოს ტყის ჩუმი გული,
სადაც დუმს ყოველივე,
ისმენს განაზული.
დაე, იყოს სამშობლო
მთა უკანასკნელი.
უკანასკნელი კითხვა.
დე, იმინოს შენში.
(მარგველაშვილი, 2018, გვ. 111).

მარგველაშვილის აზრით, ემიგრანტისთვის, რომელიც მოცილებულია მშობლიური ენის ბუნებრივ გარემოს, იდენტობის განმსაზღვრელი აღარ არის მშობლიური ენა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მშობლების ან ისტორიული სამშობლოს ენა. მწერლის ეს ფართო ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად ჩამოყალიბებული მოსაზრება შეიძლება განზოგადდეს როგორც თანამედროვე სამყაროს აღქმის ალტერნატიული მოდელი. ამ კონტექსტში საინტერესოა ჰერტა მიულერი, რომელიც, მარგველაშვილის მსგავსად, სხვადასხვა ენასა და კულტურულ გარემოში ცხოვრობდა და იღებდა განათლებას.

რუმინეთის ბანატის რეგიონის პატარა, გერმანულენოვან სოფელში დაბადებული ჰერტა მიულერის წინაპრები შვაბები იყვნენ. მისი ოჯახის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული შუა და გვიანი მეოცე საუკუნის პოლიტიკური რეჟიმების პირობებთან. როგორც გივი მარგველაშვილის ოჯახმა, ჰერტა მიულერის წინაპრებმაც რთული გზა განვლეს ჯერ იონ ანტონესკუს (1882-1946) ფაშისტური მმართველობის პერიოდში, შემდეგ კი – საბჭოთა კავშირის გავლენით ფორმირებული სოციალისტური დიქტატურის პირობებში. ჰერტა მიულერის დაბადებამდე მისი დედა, როგორც დეპორტირებული გერმანელი, საბჭოთა კავშირის შრომის ერთ-ერთ ბანაკში იძულებით სამუშაოს ასრულებდა. ნიკოლაე ჩაუშესკუს (1918-1989) ავტორიტარული მმართველობის დროს რუმინეთის მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ კიდევ უფრო მძიმე ფორმა შეიძინა, რაც განსაკუთრებულად შეეხო ეთნიკურ უმცირესობებს.

ჰერტა მიულერი გაიზარდა მულტილინგვურ და ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში, რომელიც მოიცავდა ზემოგერმანულ, რუმინულ, სერბულ და უნგრულ ენებსა და კულტურულ გავლენებს. ეს ენობრივი მრავალფეროვნება თანაარსებობდა ერთი და იმავე სივრცეში, რაც განსაკუთრებულად აჩენს ამ რეგიონის ჰეტეროგენულ სოციალურ სტრუქტურას. მწერლის ბებია და ბაბუა რუმინულ ენას საერთოდ არ ფლობდნენ. თავად ჰერტა მიულერი, როდესაც სკოლაში შევიდა, ლაპარაკობდა იმ დიალექტზე, რომელიც განსხვავდებოდა სასწავლო პროცესში დამკვიდრებული ზემოგერმანულისგან. ფილიპ ბოემთან ინტერვიუში ჰერტა მიულერმა აღნიშნა:

„გერმანულ სოფლებში გერმანულად ლაპარაკობდნენ, უნგრულ სოფლებში – უნგრულად, სერბულ სოფლებში – სერბულად. ხალხი ცდილობდა, ერთმანეთს არ შერეოდა და თითოეული გვუფი თავის ენას, რწმენას, დღესასწაულებს და სამოსს ინარჩუნებდა. გერმანელთა თემშიც ყველა სოფელი თავისებურ კილოკავზე ლაპარაკობდა“ (ბოემი, 2015).

ამ მრავალენოვან გარემოს ემატებოდა ასევე იდენტობის ინსტიტუციური დისკურსი: როგორც გერმანული წარმომავლობის მქონე, ის ოფიციალურად მიეკუთვნებოდა „ეროვნულ უმცირესობას“, რაც მისთვის განსაზღვრული სტატუსის მატარებელი იყო. ადმინისტრაციული დოკუმენტების, მათ შორის ანკეტების შევსებისას, მიუღერს ევალეზობდა მიეთითებინა „თანამაცხოვრებელი ეროვნება“ მიუხედავად იმისა, რომ გერმანული თემი სამი საუკუნის განმავლობაში ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ფილიპ ბოემთან ინტერვიუში მწერალი აღნიშნავს იმ პრობლემებსაც, რომელიც მას სკოლაში შესვლისთანავე ჰქონდა ენასთან და დიალექტთან დაკავშირებით. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ამ მულტიკულტურულ გარემოში, იგი ვერ არკვევდა, რომელი ენა იყო ბოლომდე მისი.

„თავიდან ძალიან გამიჭირდა, რადგან ჩვენი დიალექტი იმ ზემოგერმანულისგან, რომელსაც სკოლაში გვასწავლიდნენ, ძალიან განსხვავდებოდა. სულ ვშიშობდით, რომ ესა თუ ის სიტყვა დიალექტზე უადგილო ადგილას არ წამოგვედენოდა“ (ბოემი, 2015).

ამდენად, ეთნიკური წარმომავლობისა და სახელმწიფო იდენტიფიკატორების წინააღმდეგობრივმა თანაარსებობამ ის შედეგი გამოიღო, რომ „იდენტობის“ ცნება ჰერტა მიულერისთვის მნიშვნელოვნად გაფერმკრთალდა და სიმბოლური დატვირთვისგან დაიცალა. მისთვის გერმანული და რუმინული ენები ერთდროულად ფუნქციონირებდა როგორც ბავშვობის ენობრივი გარემოს ნაწილი. მიუხედავად ამისა, როგორც მწერალი და ინტელექტუალი, ის რჩება გერმანულენოვანი სივრცის წარმომადგენლად. მარგველაშვილის მსგავსად, მიულერიც ასწავლის გერმანულ ენას და მუშაობს როგორც თარჯიმანი მანამ, სანამ სამსახურიდან არ გაათავისუფლეს ჯამუშობაზე უარის თქმის გამო.

ჰერტა მიულერის ლიტერატურული და ინტელექტუალური საქმიანობა მკვეთრად კრიტიკულია ნიკოლაე ჩაუშესკუს რეჟიმის და, ზოგადად, რუმინეთში კომუნისტური დიქტატურის მიმართ. მისი ნაწარმოებები არ არის მხოლოდ ესთეტიკური თვითგამოხატვის ფორმა, არამედ ისინი გამოხატავენ წინააღმდეგობის, თვითდაცვისა და მეხსიერების პოლიტიკას. როგორც თავად არაერთგან მიუთითებს, წერა მისთვის არა იმდენად პროფესია ან კარიერული არჩევანია, არამედ გადარჩენის აუცილებლობით ნაკარნახევი მოქმედებაა – დაცვითი მექანიზმია, რაც მას ხელს უწყობს ტოტალიტარულ რეალობაში არსებობისთვის. ამ მხრივ, ის ემსგავსება გივი მარგველაშვილს, რომელმაც თვითგადარჩენის მიზნით თავი წიგნის ორ ყდას შეაფარა.

ჰერტა მიულერი პირველ ლიტერატურულ ნამუშევრებს რუმინულ ენაზე ქმნის. შემდგომში ის ძირითადად გერმანულ ენაზე წერს. იგი ერთ-ერთი პირველი ავტორია, რომელმაც „ვირტუოზული ენობრივი სიზუსტით“ ასახა რუმინეთში, კომუნისტური დიქტატურის პირობებში, ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობების პრობლემები. მისი შემოქმედებაში არსებითია ის, რომ მწერლის ტექსტები არ არის მხოლოდ პირადი ამბების გადმოცემა, არამედ მათში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე თავისუფლებისა და ღირსების შენარჩუნების საკითხი მკაცრი რეჟიმის პირობებშიც კი. აღსანიშნავია შემდეგი ნაწარმოებები და კრებულები: *ცხოვრების ბნელი მხარეები* (1982), *მოტმასნილი ტანგო* (1984), *მოგ ზაური ცალი ფეხით* (1989), *მელა მაშინ უკვე მონადირე იყო* (1992), *გულის მხეცი* (1994), *ნეტავ დღეს საკუთარ თავს არ შევხვედროდი* (1997), *შიმშილი და აბრეშუმი* (1995), *მეფე დაიხრება და კლავს* (2003), *სუნთქვის საქანელა* (2009), *მუდამ იგივე თოვლი და მუდამ იგივე ბიძა* (2011), *ჩემი სამშობლო იყო ვაშლის კურკა* (2014).

ენისა და იდენტობის საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია რელიგიისა და რწმენის საკითხი. ჰერტა მიულერი აღნიშნავს, რომ მისი სოფელიც კათოლიკური იყო ისევე, როგორც ყველა გერმანული და უნგრული სოფელი. მისი მშობლები მორწმუნეები არ ყოფილან. ღვთისმსახურება სოფლად გერმანულად აღესრულებოდა.

ხალხი მღვდლების მიმართ სერიოზული დამოკიდებულებით არ გამოირჩეოდა და ეს ფაქტი სოფლის მღვდლებს, რა თქმა უნდა, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აყენებდა. ისინი საშინლად მარტოსულად ცხოვრობდნენ. ცელიბატის გამო არ ჰყავდათ ოჯახები – ხშირად სრულიად მარტო, ხანდახან კი მზარეულთან ერთად ცხოვრობდნენ. თანაც უმეტესად სხვა მხრიდან ჩამოდიოდნენ ხოლმე და ამიტომ უცხოებიც იყვნენ სოფლისთვის. მღვდლების უმრავლესობა სვამდა, ბევრი ჩამოყალიბებული ლოთი იყო, რაც მათ რეპუტაციას ლახავდა. მიუხედავად ამისა, კატეხიზმოს გაკვეთილებს ყველანი უკლებლივ ვესწროებით, უფრო იმიტომ, რომ ეს სახელმწიფოსგან გვეკრძალებოდა (ბოემი, 2015).

რელიგია როგორც „ზეწოლის აბსტრაქტული სისტემა“ და გამუდმებით იმის შთაგონება, რომ, თითქოს, ღმერთი ყველგან და ყველაფერში იყო, ბავშვებსა და მოზარდებში იწვევდა შიშსა და უმწეობის შეგრძნებას. პირველ ტოტალიტარულ სამყაროს ჰერტა მიულერისთვის სოფელი და ეკლესია წარმოადგენდა. ამ მიზეზთა გამო იგი რწმენას შიშთან აიგივებს და მას ზეწოლის იარაღად და ადამიანის პიროვნული თავისუფლების აღკვეთის საშუალებად მიიჩნევს (ბოემი, 2015).

ტაბუდადებულ თემებზე (ტოტალიტარული ძალადობა, იდენტობის კრიზისი, ენობრივი რეპრესია, ემიგრაციისა და გარიყულობის გამოცდილება) თამამად და მაღალმხატვრულად წერის, გულისხმიერებისა და გულწრფელობის გამო მიიღო ჰერტა მიულერმა 2009 წელს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. ტექსტები, რომლებშიც მან თამამად წარმოაჩინა პოლიტიკური და სოციალური პრობლემები, ღრმად და ზუსტად ასახავს არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური გამოცდილების უმნიშვნელოვანეს ასპექტებს.

გივი მარგველაშვილის მრავალფეროვანი და მრავლისმომცველი შემოქმედების თვითმყოფადობას კი ის განაპირობებს, რომ იგი, ფაქტობრივად, ადამიანია ორ სამშობლოში, შუამავალია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ქართული თემებისა თუ მხატვრული სახეების მიუხედავად, მისი შემოქმედება არაა ქართული ლიტერატურული ტრადიციით ნასაზრდოები. მარგველაშვილის იდენტობა, შეიძლება ითქვას, ქართულ-გერმანულია. მისი „პოლიფონიური“ შემოქმედება ერთნაირად საინტერესოა ყველა ეროვნების მკითხველისა და მეცნიერ-მკვლევართათვის. როგორც თავად მწერალი არაერთხელ აღნიშნავდა, მისი ნაწარმოებების მთავარი თემა არა მხოლოდ პირადი ბედი, არამედ რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე მე-20 საუკუნის ადამიანის რეალობასთან ჭიდილია, რომლის ეგზისტენცია დამოკიდებულია დიდ რელიგიებსა (ბუდიზმი, ინდუიზმი, იუდაიზმი, ქრისტიანული რელიგია და ისლამი) და მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური სახის ტექსტებზე, რომლებიც ამავე საუკუნის ისტორიული მოვლენებითაა განსაზღვრული.

გივი მარგველაშვილისთვის ორივე ქვეყანა, გერმანია და საქართველო, სამშობლოა. გერმანიის გაერთიანების შემდეგ დიდი ხნის ნაოცნებარ ენობრივ სამშობლოში დაბრუნებული მწერალი ერთიმეორეს მიყოლებით აქვეყნებს რომანებს, მინიატურებსა და ლექსებს. ბევრ გამოუქვეყნებელ ტექსტს შორის, რომლებიც მარბახის გერმანული ლიტერატურის არქივში ინახება, არსებობს მისი ერთი, საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი (დაახლოებით 600 გვერდიანი), რომანი *ფაუსტის ფაუსტი* (*Fausts Faust*). მასში რეალური და არარეალური სამყაროების ირონიული შერწყმა ლიტერატურულ თამაშად იქცევა. იგი სერიოზულ და მტკივნეულ თემებს ეხება. ტექსტის მრავალშრიანი სტრუქტურის მიღმა მკითხველი თავად ავტორის ბედისწერასაც ამოიცნობს: მისი გული თბილისში რჩება, თუმცა გონება ვერ პოულობს შვებას – მისი ფიქრები მუდმივად ბერლინს უტრიალებს.

ამრიგად, გივი მარგველაშვილისა და ჰერტა მიულერის იდენტობის დინამიკა ემიგრაციის კონტექსტში გამოირჩევა განსხვავებული, თუმცა მსგავსი გამოცდილებით. რამდენიმე უცხო ენის მცოდნე მარგველაშვილისთვის მშობლიური (მშობლების) ქართული ენისა და კულტურის აღდგენა რთულ და დაუძლეველ გამოწვევად იქცა. როგორც მისი შემოქმედების კვლევით დასტურდება, მისი იდენტობის ფორმირებაზე გავლენას ახდენს გერმანულ-ქართული ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობის შერწყმა და ისტორიული მოვლენების მძიმე ტვირთი.

ჰერტა მიულერიც არანაკლებ განიცდის უსამშობლობასა და ენის იდენტობის კრიზისს, თუმცა მისი გამოცდილება ცალკე ეთნიკური და პოლიტიკური კონტრასტების ფონზე ვითარდება.

ორივე ავტორის შემოქმედებაში ემიგრაცია და ენის პრობლემა წარმოადგენს ძირითადი თეზისს, რაც განაპირობებს მათ მხატვრულ-ესთეტიკურ ხედვებსა და მათი ნაწარმოებების თემატიკას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბოემი, ფ. (2015). „ფილიპ ბოემის ინტერვიუ ჰერტა მიულერთან“. თარგმნა კატია ვოლტერსმა სათაურით „ჰერტა მიულერი – არაფრისმთქმელი სიტყვა – იდენტობა“. *არლი* (გამოქვეყნების თარიღი: 22 ივლისი).
- მარგველაშვილი, გ. (2018): *მე წიგნის გმირი ვარ. მინიატურები*. გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ნაირა გელაშვილმა, თბილისი: „ალონი“.
- მარგველაშვილი, გ. (2022). „*პერეკატასტროიკა*“ – *დროის მოწმის ჩანაწერები, 1888-1993*, გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფარჯიანმა, რედაქტორი ნაირა გელაშვილი. თბილისი: „ალონი“.
- Gansel, C. (1994). „Gespräch mit Giwi Margwelaschili“, In: *Gedichtwelten-Realwelten. Fußnoten zur neueren deutschen Literatur*. Heft 28. Mit Beiträgen von Carsten Gansel, Helmut Glück, Heinz Gockel, Alexander Kartoziia. Hrsg.: Heinz Gockel. Otto-Friedrich-Universität Bamberg, Bamberg, S. 57-78.
- Keller, A. (2007). „Ein virtueller Brief an Giwi Margwelaschwili“. In: *Meine Kata-Strophen. Prosa, Lyrik, Essay*. Vechta-Langfördern: Geest-Verlag.
- Margwelaschwili, G. (1993). Margwelaschwili, Giwi: *Fausts Faust*. Roman. Typoskript ca. 600 S. (für Verlag Rütten & Loening Berlin, datiert 1993, aber unveröff. DLA Marbach. Nachlass A: Margwelaschwili, Giwi).

References:

- Boehm, P. (2015). „Pilip' Boemis int'erviu Hert'a Miulertan“. Targmna k'at'ia volt'ersma sataurit „Hert'a Miuleri – arap-rismtkmeli sit'q'va – ident'oba“. [“Philip Boehm's Interview with Herta Müller”]. *Arili* (gamokveq'nebis tari-ghi: 22 ivlisi).
- Gansel, C. (1994). „Gespräch mit Giwi Margwelaschili“, In: *Gedichtwelten-Realwelten. Fußnoten zur neueren deutschen Literatur*. Heft 28. Mit Beiträgen von Carsten Gansel, Helmut Glück, Heinz Gockel, Alexander Kartoziia. Hrsg.: Heinz Gockel. Otto-Friedrich-Universität Bamberg, Bamberg, S. 57-78.
- Keller, A. (2007). „Ein virtueller Brief an Giwi Margwelaschwili“. In: *Meine Kata-Strophen. Prosa, Lyrik, Essay*. Vechta-Langfördern: Geest-Verlag.
- Margwelaschwili, G. (1993). Margwelaschwili, Giwi: *Fausts Faust*. Roman. Typoskript ca. 600 S. (für Verlag Rütten & Loening Berlin, datiert 1993, aber unveröff. DLA Marbach. Nachlass A: Margwelaschwili, Giwi).
- Margvelashvili, G. (2018). *Me ts'ignis gmiri var. Miniaturebi*. [I am the Hero of a Book. Miniatures]. Germanulidan targmna da ts'inasi't'q'vaoba daurto Naira Gelashvilma. Tbilisi: „aloni“.
- Margvelashvili, G. (2022). „P'erek'at'ast'roik'a“ – *drois mots'mis chanats'erebi, 1888-1993*. [“Perekatastroika” – Notes of a Witness of Time, 1888-1993]. Germanulidan targmna Asmat Parjianma, redakt'ori Naira Gelashvili. Tbilisi: „aloni“.